პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 მაისი სამშაბათი 1974 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 122 (15943)

ხალხის უანგარო სამსახური

27 მაისს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო საზეიმო სხდომა, როგორც მიეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავს.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ იმახასიათები პ. გილაშვილი, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, ო. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ლ. მაზური, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი მ. მარკოვი, დელეგაციის წევრები — მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ინოზემცევი, საბჭოთა კავშირის მსუბუქი შენადნობების ინსტიტუტის უფროსი, აკადემიკოსი ა. ბელოვი, ა. ვ. თოფჩიევის სახელობის ნავთობქიმიური სინთეზის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, აკადემიკოსი ბ. დოლგოპლოსკი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ტიმაკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნეიტრონული ფიზიკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ბ. პონტეკორვო, ჟურნალ „ნიმია ი ცოხნის“ მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ი. პეტროიანოვ-სოკოლოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ლენინური პრემიის laureატმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით სხდომის მონაწილეებს მიესალმა რესპუბლიკის

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

□

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

მოხსენება „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავი და ქართული მეცნიერების განვითარება“ გააკეთა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, — თქვა მომხსენებელმა, — ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 250 წლისთავი. პარტია და მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას, მის დიდ წვლილს საბჭოური და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. აკადემიის დიდ დამსახურებათა აღიარებაა მისი დაჯილდოება ორი ლენინის ორდენით.

„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი აკადემიით, — თქვა პარტიის XXIV ყრილობაზე ლეონიდ ილიჩ-ძე ბრეჟნევმა. — იგი ვარემოსილია პარტიისა და ხალხის უყურადღებით და ზრუნვით, უანგაროდ და ერთგულად ემსახურება ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ცივილიზაციას. საბჭოური მეცნიერების უდიდესი მიღწევები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენი სამშობლოს აღმავლობას, უშუალოდ უკავშირდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას“.

ეს მოლალი შეფასება, — აღნიშნა ი. ვეკუამ, — მოწმობს საბჭოელ მეცნიერთა კოლექტივის დიდ დამსახურებათა საყოველთაო-სახალხო აღიარებას, რომლებიც უდიდეს სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან, რათა დარაზმონ ძალები მეცნიერების ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ის დიდი მუშაობა, რომელსაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ეწევა საერთაშორისო მასშტაბით მეცნიერული თანამშრომლობის განვითარებისათვის. იგი წარმოუებს ჩვენი სახელმწიფოს ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსთან სრული შესაბამისობით, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

მეცნიერებათა აკადემიამ 250 წლის განმავლობაში სახელოვანი გზა განვლო. მაგრამ მისი ნამდვილი აყვავება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა მის წინაშე გადაიშალა განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, ყოველნაირად ხალისდება მისი ინიციატივა, გულუხვად ფინანსდება მეცნიერული კვლევა.

უდიდესი სამეცნიერო ძალების ბირთვმა — აკადემიამ — ხელი შეუწყო ფუნდამენტური კვლევის განვითარებას, ადამიანობის ცოდნის ყველა დარგში, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საბჭოური და მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. მიხეილ ლომონოსოვის ლეონარდ ეილერის, პაფნუტი ჩებიშევის, კარლ ბერის, ივანე პავლოვის, იგორ კურჩატოვის, სერგი კოროლიოვისა და სხვა მეცნიერის სახელებმა მარადიული შარავანდედით შემოსეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

აკადემიის არსებობის პირველი დღეებიდანვე მთელი მისი მუშაობის დევიზი იყო და არის ხალხის სამსახური. ეს მოთხოვნა ჩაწერილია აკადემიის წესდებაში, რომელიც მისი დაარსების გარიჟრაჟზე შეიქმნა.

— ხალხის სამსახური — ეს კეთილშობილური მისია — განუყოფელია მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობისადან საბჭოთა პერიოდში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ — ნგრევის ლიკვიდაციისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის ნორმალიზაციის პერიოდში, პირველ ხუთწლეულებში, დიდი სამამულო ომის წლებსა და ომის შემდგომ პერიოდში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია მუდამ ხელმძღვანელობდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებებით, ასრულებდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო და სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტად მეცნიერთა ძალების

(დასასრული მე-2 გვ.).

ამხანაგო ამომრჩევლებო! მეცნიერებისა და კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ეს არის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა საზოგადოების უოველმხრივ სულიერ აყვავებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის შემდგომი განვითარებისათვის, მოსახლეობის წიგნით მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ამჟამად საბჭოთა კავშირში არის 360 ათასი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნის ფონდში 3,3 მილიარდი ეგზემპლარია, და ემსახურებიან 180 მილიონზე მეტ მკითხველს.

ბიბლიოთეკების აქტიურ პროპაგანდას უწევენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, დიდად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში, მათი კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში. გაფართოვდა სამეცნიერო, ტექნიკური, სპეციალური და მასობრივი ბიბლიოთეკების საქმიანობა მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების პროპაგანდის, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მომსახურების საქმეში. განმტკიცდა ბიბლიოთეკების კავშირი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებთან.

ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო მომსახურებით პრაქტიკულად მოცულია სასაღრო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები, თვითეული დასახლებული პუნქტი, თვითეული ოჯახი. ყველგან დაინერგა წიგნის ფონდების ხმარების ღია წესი. ბიბლიოთეკებში უფრო ღრმად სწავლობენ და უფრო სრულად აკმაყოფილებენ მკითხველთა მოთხოვნილებებს. მოსახლეობის წიგნით მომსახურების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას ხელს უწყობს საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაცია, რაც ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ხორციელდება და საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ ბიბლიოთეკების მეცადინეობა და მატერიალური რესურსები, განვახორციელოთ მათი ფონდების დაკომპლექტების ერთიანი პოლიტიკა.

ამავე დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბევრი ბიბლიოთეკის მუშაობის დონე, მოსახლეობის წიგნით მომსახურების ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ შეესაბამება მთლიანად საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის, პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებს, ვერ აკმაყოფილებს სათანადოდ მშრომელთა სამეცნიერო და კულტურულ მოთხოვნილებებს. ხშირად ძირგასი წიგნები დიდხანს აწყვია თაროებზე, ვერ ეფეგვენ მკითხველებამდე. სამეცნიერო-ტექნიკური და სპეციალიზებული ბიბლიოთეკების ფონდების ბრუნვა კვლავ დაბალია. ჯეროვანი ოპერატიულობითა და მზანდასახულობით არ ხორციელდება ინფორმაცია ახლად გამოქვეყნილი ლიტერატურის შესახებ, ცოტა გამოდის სარეკომენდაციო მითითებები და მეთოდური სახელმძღვანელოები კომუნისტური აღზრდის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, სკკპ ისტორიის საკითხებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებზე, ავრეთვე მასობრივი პროფესიების მუშათა დასახმარებლად. წიგნის პროპაგანდაში სუსტად არის გამოყენებული პრესა, რადიო, ტელევიზია. მეცნიერულ კვლევას ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში ხშირად განყენებული ხასიათი აქვს, არ მთავრდება კონკრეტული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებით. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებანი წიგნის ფონდების დაკომპლექტებაში, ბიბლიოთეკებში ხშირად იგზავნება ლიტერატურა, რომელიც არ საღდება საცალო ვაჭრობაში.

წიგნის უფრო ფართო და ეფექტიან გამოყენებას ხელს უშლის ბიბლიოთეკების უწყებრივი დაქსაჭვა, მათი ფონდების დაკომპლექტებაში კოოპერირების უქონლობა. კვლავ იხსნება მრავალი პატარ-პატარა ბიბლიოთეკა, მათზე ნამდვილი მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ბევრი ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკა მუშაობს ჯარდაშულად, იმსახურება სპეციალისტთა ვიწრო წრეს, სუსტად იყენებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დამუშავების, ძიებისა და გავრცელების თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს. მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს დღემდე არ უზრუნველუყიათ საქმეუწყებო საინფორმაციო ორგანოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების შეთანხმებული მუშაობა. ერთიანი საინობარო-საინფორმაციო ფონდების ბაზაზე, რაც იწვევს სახსრების არარაციონალურ გამოყენებას, პარალელიზმს მუშაობაში.

ყველა ეს ნაკლი, ნათქვამია დადგენილებაში, იმით არის გამოწვეული რომ სსრ კავშირის კულტურის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საკავშირო პროფსაბჭო, ბევრი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანო ღრმად არ სწვდებიან ბიბლიოთეკების მუშაობის შინაარსს, სათანადოდ არ ზრუნავენ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ბიბლიოთეკების მუშაობა კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის, მუშაობა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის. დიდი ბიბლიოთეკების მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებებით, ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემები კი სამრავლებელი ტექნიკითა და ავტოტრანსპორტით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და სხვა უწყებებს დაავალა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ძირფესვიანად გაუმჯობესდეს ბიბლიოთეკების საქმიანობა, ამაღლდეს მათი, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი საყრდენი ბაზების, იდეოლოგიური და სამეცნიერო-საინფორმაციო დაწესებულებების როლი.

ბიბლიოთეკების მთავარი ამოცანა, საზოგადოებრივ დადგენილებაში, ის არის, რომ აქტიური პროპაგანდა გაუწიონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, უფრო სრულად გამოიყენონ წიგნის უზარმაზარი ფონდი ახალი ადამიანის განათლებისა და აღზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. უნდა გავაფართოოთ სამეცნიერო, ტექნიკური და მასობრივი ბიბლიოთეკების საქმიანობა მეცნიერებს, ტექნიკოსსა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების გავრცელებისათვის, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით ოპერატიული უზრუნველყოფისათვის, დიფერენცირებული დახმარება გავუწიოთ მკითხველებს, მათი განათლების დონის, პროფესიული ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს და საოლქო აღმასკომებს დაეკალთო 1974-1980 წლებში მოსახლინონ სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია საერთო შტატის, წიგნის ფონდის, ცენტრალიზებული დაკომპლექტებისა და ლიტერატურის დამუშავების მქონე ერთიანი ქსელის საქალაქო და რაიონული ბიბლიოთეკების შექმნის ბაზაზე. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს დებულება სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციისა და მოსახლეობის მომსახურების ახალ სისტემაზე მათი გადაყვანის მეთოდიკის შესახებ. რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს იმ ასიგნობათა ფარგლებში, რომლებსაც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტი საბიბლიოთეკო ქსელის შენახვისა და განვითარებისათვის. ამასთან სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო პროფსაბჭომ უნდა შეიმუშაონ თავიანთი საქვეუწყებო ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციის ღონისძიებანი, და თანაც გაითვალისწინონ როგორც დარგობრივი, ისე საუწყებათშორისო ცენტრალიზებული სისტემების შექმნა და მათი მწყობრი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ავრეთვე უნდა აამაღლონ სრულიად საკავშირო, დარგობრივი, რესპუბლიკური და ტერიტორიული საინფორმაციო ორგანოებისა და მათი ბიბლიოთეკების როლი ერთიანი საინობარო-საინფორმაციო ფონდების შექმნისათვის მუშაობის კოორდინაციაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა შემდგომ განვითარდეს და გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაცია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში. მათ წინადადება ეძლევათ გააძლიერონ სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის როლი, სამეცნიერო-ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების ხაზით კი სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის, როგორც საერთო საკავშირო სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრების როლი. მუშაობის გამოცდილების სისტემატური ურთიერთგაზიარების და საბიბლიოთეკო მშენებლობის მიღწევათა უკეთ გავრცელების მიზნით ეროვნული „ბიბლიოთეკარი“ გარდაიქმნა საერთო-საკავშირო ჟურნალად — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროს ორგანოდ.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა, ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში, უნდა გააძლიერონ ყურადღება კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი, განამტკიცონ ბიბლიოთეკების კვალიფიციური მუშაკებით. მათ წინადადება ეძლევათ აამაღლონ. ყველა ბიბლიოთეკისათვის კადრების მომზადების ხარისხი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა მომზადების გაუმჯობესებას და მათს სპეციალიზაციას. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ, ეფალებათ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ სტუდენტები და მოსწავლეები დაეუფლონ საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიული ცოდნის საფუძვლებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ეფალებათ შეიმუშაონ მუშაკთა შრომის ანაზღაურების მიზიდვით ბიბლიოთეკათა ჯგუფების შექმნის წესი და ამას საფუძვლად დაუდონ მკითხველთა მომსახურების მუშაობის მოცულობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ ბიბლიოთეკათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების, მათი გეგმაზომიერი განლაგების ღონისძიებანი. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს ნება ეძლევათ საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები დაუთმონ ბიბლიოთეკებს. ამისათვის საჭირო ხარჯები უნდა მიეკუთვნოს ხანონო შენებლობის ანარიცხებს, რომლებიც გათვალისწინებულია საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა აგებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაეკალთა 1976-1980 წლების სასალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შემუშავებისას გაითვალისწინოს საბიბლიოთეკო მოწყობილობის, მექანიზაციისა და გადასაუბგასამავლებელი ტექნიკის საშუალებათა წარმოების გადიდება. სსრ კავშირის სახშენისა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წინადადება მიეცეთ 1974-1976 წლებში შეიმუშაონ ბიბლიოთეკათა შენობების ახალი ტიპური პროექტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონისათვის.

სამშობლოს საგუშაგოზე
დღისით და ღამით!

ი. ჰუხონელიძისა და ბ. კიკვაძის ფოტო. (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

საგზოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობაზე გაემგზავრა

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის მოწვეებით 26 მაისს მოსკოვიდან ბელგრადს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობაზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ი. არისტოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ნ. სტეპაკოვი.

ვნუკოვის აეროდრომზე დელეგაცია გაცილეს ამხანაგებმა კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. თ. კატუშევმა და სხვებმა. იმავე დღეს დელეგაცია ბელგრადს ჩავიდა. (საკდესი).

ქვეყანეთის რესპუბლიკის საგელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის მ. დაუღის მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეითი ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი საბჭოთა კავშირში ჩამოვა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ამა წლის ივნისის პირველ რიცხვებში.

იაკუბუ გოვონი თბილისში ჩამოვიდა

26 მაისს საქართველოს დედაქალაქი დიდი გულთბილობითა და გულითადობით შეხვდა ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო და ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურს, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი იაკუბუ გოვონი ნიგერიის სახელმწიფო მოღვაწეების თანხლებით 27 მაისს ეწვია საქართველოს სსრ მთავრობის სახლს. საპატიო სტუმარს მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

მეგობრული საუბრის დროს იაკუბუ გოვონს გააცნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობა, რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა რწმენა გამოთქვეს, რომ იაკუბუ გოვონის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, მოსკოვში გამართული შეხვედრები და მოლაპარაკება დიდ როლს შეასრულებენ ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოსა და ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი იაკუბუ გოვონი ნიგერიის სახელმწიფო მოღვაწეების თანხლებით 27 მაისს ეწვია საქართველოს სსრ მთავრობის სახლს. საპატიო სტუმარს მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

მეგობრული საუბრის დროს იაკუბუ გოვონს გააცნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობა, რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა რწმენა გამოთქვეს, რომ იაკუბუ გოვონის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, მოსკოვში გამართული შეხვედრები და მოლაპარაკება დიდ როლს შეასრულებენ ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ჯარების სარდლის მოადგილე, შტაბის უფროსი გენერალ მაიორი ვ. ა. კრასავინი, საქართველოს სსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

როცა იაკუბუ გოვონი მივიდა მშრომელთა ზრომამადგენლებთან, გაისმა მხურვალე ტაში, შეძახილები საბჭოთა კავშირ-ნიგერიის მეგობრობის სადიდებლად.

ვ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი და იაკუბუ გოვონი მანქანაში ჩასხდნენ. კორტეჟი მოტოციკლისტთა სპატიო ესკორტის თანხლებით ქალაქისაკენ მიემართება. გზაზე თბილისელები გულთბადად ესალმებოდნენ ნიგერიის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურს.

იაკუბუ გოვონთან ერთად ჩამოვიდნენ სამხედრო-საპაერო ძალების შტაბის უფროსი ბრიგადის გენერალი ე. იკეე, კანონის შტატის სამხედრო გუბერნატორი ა. ა. ბაკო, საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ო. არიკპო, მრეწველობის მინისტრი დოქტორი ჯ. ე. ადეტორო, ეკონომიური განვითარებისა და რეკონსტრუქციის მინისტრი დოქტორი ა. ადედეჯი და სხვა თანმხლები პირნი, ავრეთვე ნიგერიის ელჩი სსრ კავშირში ჯონ ნდუბეზე უკეგბუ.

ნიგერიის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის ელჩი ნიგერიაში ბ. ს. ვორობიოვი, რომლებიც მას ახლავან ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობისას. (საქინფორმი).

მეგობრული საუბარი

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოსა და ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი იაკუბუ გოვონი ნიგერიის სახელმწიფო მოღვაწეების თანხლებით 27 მაისს ეწვია საქართველოს სსრ მთავრობის სახლს. საპატიო სტუმარს მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

მეგობრული საუბრის დროს იაკუბუ გოვონს გააცნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობა, რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა რწმენა გამოთქვეს, რომ იაკუბუ გოვონის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, მოსკოვში გამართული შეხვედრები და მოლაპარაკება დიდ როლს შეასრულებენ ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში.

— ჩვენი დისკუსიები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან, — ხაზგასმით აღნიშნა იაკუბუ გოვონმა, — მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო.

ნიგერიის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაიხადა ამისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა სწვეოდა საქართველოს. მე გულში ჩამწვდა, თქვა მან, ქართველი ხალხის გულითადობა და სტუმართმოყვარეობა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის ელჩი ნიგერიაში ბ. ს. ვორობიოვი.

საუბარზე იყვნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კეკნაძე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ე. მ. ჭაფარიძე, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მინისტრები ფ. ა. ანანიაშვილი, ვ. ი. მაისურაძე. (საქინფორმი).

კლანტაციაშია „ჩა-900“ მანქანა

292 ათასი ტონა ჩაისათვის!

ფალენჯიხა. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). ფალენჯიხის საბჭოთა მეურნეობაში უკანასკნელ წელს ფართოდ იყენებენ ფოთლის საკრეფ მანქანებს. წელს მეურნეობაში მარტო გამომგონებელ ნ. კოსტავას „ჩა-900“ 26 მანქანა მუშაობს, აქედან 22 მანქანა ახლახან მიიღეს. ეს მანქანა მეტად ეფექტურია. უკვე აღებულია 155 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული, მთავარი ის არის, რომ მთელი მოკრეფილი ნედლეული პირველი ხარისხისაა.

„ჩა-900“ მანქანაზე მომუშავე მექანიზატორი გურამ მალაზონია ხეზონის დაწყების პირველი დღიდანვე შეუფერხებლად ამუშავებს მანქანას. მის მიერ აღებული ნედლეული ხაუცბოო ხარისხისაა.

„ჩა-900“ მანქანას შეუფერხებლად ამუშავებენ და მხოლოდ პირველი ხარისხის ფოთოლს იღებენ აგრეთვე მექანიზატორები პალიკო კუკავა და რეზო ბასია.

მეურნეობაში მუშაობს 22 მანქანა „ხალართველოც“ და აღებული აქვთ 95 ტონა ფოთოლი. ხულ ხელით ნაკრეფის ჩათვლით მოკრეფილია და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარდა 400 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

მთელი ჩვენი ენერგია და ძალები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII კონგრესის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

საქართველოს ხვალინდელი დღე

- საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII კონგრესმა განსაზღვრა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის დარგში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებანი. დასახა სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების გზები.
- სოფლის მეურნეობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია იმ გზით, რომ გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უკეთ გამოვიყენოთ მელიორირებული მიწები, ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დონე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII კონგრესის დადგენილებიდან.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" მიზნად ისახავს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებულ განვითარებას. სოფლის მეურნეობის ხაზით დასახულია ამოცანა, რომ გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა, უკეთ სრულად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და მრეწველობისა — ნედლეულზე. ამავე დადგენილებით განსაზღვრულია მისი შესრულების გზები და შესაძლებლობანი.

ისმება კითხვა — კონკრეტულად რა ღონისძიებებს ითვალისწინებს ეს დადგენილება. რა გზებსა და შესაძლებლობანია ეკონომიკის დაჩქარების მხრივ საქართველოში და რას მისცემს რესპუბლიკის მოსახლეობას მისი შესრულება. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქტების წარმოების ზრდის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია წარმოების სრული ინტენსიფიკაციის განხორციელება. ამასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის რეზერვს წარმოადგენს ამჟამინდელ ფართობებზე ინტენსიფიკაციის ენერგია, რადგან იგი იძლევა წარმოების ამაღლების განუსაზღვრელ შესაძლებლობებს.

მაგრამ რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მცირემიწიანობა, რთული რელიეფი და მისი სივრცობრივი განსაზღვრულობა ამცირებს მეორის მნიშვნელობას. თუმცა ამისათვის ჯერ კიდევ არსებობს კარგი შესაძლებლობანი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი რეზერვია კოლხეთის დაჭაობებული ფართობების ათვისება, რომლის საერთო ფართობი 220 ათას ჰექტარს აღემატება. აქედან ამჟამად ათვისებულია მხოლოდ 83 ათასი ჰექტარი, დანარჩენი — 130 ათასი ჰექტარი უახლოეს მომავალში უნდა იქნას ათვისებული.

რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სივრცობრივი გაფართოების რეზერვს იძლევა აგრეთვე ნასვენი მიწების ათვისება, რომელთა საერთო ფართობი 15,6 ათას ჰექტარს შეადგენს. გარდა ამისა, არსებობს მლაშე და ბიერი ნიადაგები 37,7 ათასი ჰექტარის რაოდენობით, ტყისა და ბუჩქნარების ფართობები, რომლებსაც არა აქვთ ნიადაგდაცვისა და ეროზიის საწინააღმდეგო მნიშვნელობა, მათი საერთო ფართობი 50-60 ათას ჰექტარს შეადგენს. ყველა ზემოთ დასახელებული რეზერვი საშუალებას იძლევა რესპუბლიკაში დამუშავებაში მყოფი ფართობები გაიზარდოს დაახლოებით 280-300 ათას ჰექტარამდე. წარმოებაში ამ ფართობების ჩართვით შეგვიძლია სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 500-600 მილიონი მანეთით გავზარდოთ.

ეს შეადგენს ამჟამად რესპუბლიკაში წარმოებული სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულების 63 პროცენტს. წარმოების ზრდის ეს შესაძლებლობა დღემდე ნაკლებად იყო გამოყენებული. ამას ნათლად ამტკიცებს თუნდაც კოლხეთის დაჭაობის ათვისების დღევანდელი მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, მისი ათვისება დიდი ხანია წარმოებს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ათვისებული (ამჟამად ათვისებულია მხოლოდ მთელი ფართობის 37 პროცენტი). ამასთან ის ფართობებიც, რომლებიც მიწათმოქმედებაშია ჩართული, არაეფექტიანად არის გამოყენებული. ამ მიწების უმეტესი ნაწილი დაბალ მოსავალს იძლევა, ხშირად კი ნათესები და ნარგავები ნიადაგის დიდი ტენის გამო მთლიანად იღუპება.

კოლხეთის დაბლობის ათვისება პროგრამის მიხედვით რომ განხორციელებულიყო, ამჟამად მისგან შეგვეძლო მივიღოთ 189,9 მილიონი მანეთის ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მაშინ როდესაც 1972 წლის მდგომარეობით კოლხეთში ათვისებულმა ტერიტორიამ მოგვცა 36,7 მილიონი მანეთი, ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით მიღებულია ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 2.345 მანეთისა 440 მანეთი, ანუ მთელი შესაძლებლობის 19 პროცენტი. აქ ძალზე დაბალია კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებით დახარჯულ ყოველ ერთ მანეთზე თუ მოდის 0,18 მანეთის დამატებითი შემოსავალი, კოლხეთის დაბლობის ათვისების პირობებში ეს მაჩვენებელი 10-12-ჯერ ნაკლებია. ეს მაშინ, როდესაც პირიქით უნდა იყოს.

კოლხეთის ზონაში განლაგებულ 30 საბჭოთა მეურნეობას 41 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები ერიცხება. აქედან სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწები 40 ათას ჰექტარს შეადგენს, საიდანაც ფაქტიურად მხოლოდ 30,1 ათასი ჰექტარია გამოყენებული. დანარჩენი 11 ათასი ჰექტარი გამოუყენებელია, თუმცა იგი დაშრობილად და სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის ვარგისად არის მიჩნეული. დაშრობილ ფართობებზე ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრომელიორაციული და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები. 12 ათასი ჰექტარიდან დღემდე ეს სამუშაოები შესრულებულია მხოლოდ 1.959 ჰექტარზე. საჭიროა დაჩქარდეს საქართველოს ჯამირის — კოლხეთის დაჭაობებული მიწების მთლიანად დაშრობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაყენების სამუშაოები.

უახლოეს წლებში კოლხეთის დაჭაობებული ტერიტორიიდან ათვისებულ უნდა იქნას 40 ათასი ჰექტარი ახალი ფართობი, ხოლო შემდგომ წლებში მთლიანად დამთავრდება მისი ათვისება. მთლიანად უნდა დამთავრდეს ადრე ათვისებული ტერიტორიის რეკონსტრუქციის სამუშაოებიც. მართალია, ბევრ საქართველო აწარმოებს სსრ კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტზე მეტს, მაგრამ იგი აკმაყოფილებს მისი მოთხოვნილების მხოლოდ 55 პროცენტს. კოლხეთის ტერიტორიის მთლიანად ათვისებით 550 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 110 ათას ტონა მზა ჩაის პროდუქციას შეადგენს. ეს კი ძირითადად უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სამამულო წარმოების ჩაიზე. ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ პრობლემის გადაწყვეტა მეტად პასუხსაგებ და საპატიო საქმეს წარმოადგენს.

ამავე დადგენილების შუქზე მნიშვნელოვანია ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის დაჩქარებული მშენებლობა. მისი განხორციელება დიდ პერსპექტივებს სახავს მლაშე და ბიერი ნიადაგების ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სივრცობრივი გაფართოებისათვის. ამ ნიადაგებზე იგი ძვირფასი მრავალწლიანი კულტურების განვითარებისათვის საჭირო ბაზის შექმნის და მნიშვნელოვნად გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. დღეისათვის ეს ფართობები ძირითადად ზამთრის საძოვრებად არის გამოყენებული.

სარწყავი სისტემის მშენებლობის შედეგად ამ საძოვრების ნაწილი მკვეთრად შეიცვლება, გაიზრდება ხვედრითი წონა ისეთი კულტურებისა, როგორიც ვენახი და ხეხილია. მაგალითად, შიდა კახეთის ზონაში ვენახის ფართობის ზრდა შესაძლებელი იქნება 21,4 ათას ჰექტარამდე, ბალებისა—5,7 ათას ჰექტარამდე. გარე კახეთში ვენახები დაიკავებს 24,8 ათას ჰექტარს, ბალები კი 10,4 ათას ჰექტარს. ამრიგად, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის განხორციელების შედეგად ვენახების ფართობები შიდა და გარე კახეთის ზონაში 18,9 ათასი ჰექტარიდან 46,2 ათას ჰექტარამდე, ანუ 27,3 ათასი ჰექტარით გაიზრდება, ბაღების ფართობები 2.970 ჰექტარიდან — 16.100 ჰექტარამდე.

მაჭიმაღლურად უნდა გამოვიყენოთ დასამუშავებლად ფარგისი სხვა დამატებითი მიწის სავარგულები. ეს შეეხება ნასვენი მიწების, ტყისა და ბუჩქნარებით დაკავებული ფართობების ათვისებას. ეს ფართობები ძირითადად მთის რაიონებშია განლაგებული. მას უჭირავს სახნავების დახლოებით 40 პროცენტი, აგრეთვე მთის მდელოებისა და საძოვრების 90 პროცენტი. ამჟამად ამ ზონის სა-

ჩვენი ყამირი

ფართო მასშტაბით განვახორციელოთ საირიგაციო სამუშაოები, უკეთ გამოვიყენოთ სარწყავი მიწები, დავაჩქაროთ კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და სამეურნეო ათვისების ტემპი.

მოსავალი, კოლხეთის დაბლობის ათვისების პირობებში ეს მაჩვენებელი 10-12-ჯერ ნაკლებია. ეს მაშინ, როდესაც პირიქით უნდა იყოს.

კოლხეთის ზონაში განლაგებულ 30 საბჭოთა მეურნეობას 41 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები ერიცხება. აქედან სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწები 40 ათას ჰექტარს შეადგენს, საიდანაც ფაქტიურად მხოლოდ 30,1 ათასი ჰექტარია გამოყენებული. დანარჩენი 11 ათასი ჰექტარი გამოუყენებელია, თუმცა იგი დაშრობილად და სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის ვარგისად არის მიჩნეული. დაშრობილ ფართობებზე ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრომელიორაციული და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები. 12 ათასი ჰექტარიდან დღემდე ეს სამუშაოები შესრულებულია მხოლოდ 1.959 ჰექტარზე. საჭიროა დაჩქარდეს საქართველოს ჯამირის — კოლხეთის დაჭაობებული მიწების მთლიანად დაშრობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაყენების სამუშაოები.

უახლოეს წლებში კოლხეთის დაჭაობებული ტერიტორიიდან ათვისებულ უნდა იქნას 40 ათასი ჰექტარი ახალი ფართობი, ხოლო შემდგომ წლებში მთლიანად დამთავრდება მისი ათვისება. მთლიანად უნდა დამთავრდეს ადრე ათვისებული ტერიტორიის რეკონსტრუქციის სამუშაოებიც. მართალია, ბევრ საქართველო აწარმოებს სსრ კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტზე მეტს, მაგრამ იგი აკმაყოფილებს მისი მოთხოვნილების მხოლოდ 55 პროცენტს. კოლხეთის ტერიტორიის მთლიანად ათვისებით 550 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 110 ათას ტონა მზა ჩაის პროდუქციას შეადგენს. ეს კი ძირითადად უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სამამულო წარმოების ჩაიზე. ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ პრობლემის გადაწყვეტა მეტად პასუხსაგებ და საპატიო საქმეს წარმოადგენს.

ამავე დადგენილების შუქზე მნიშვნელოვანია ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის დაჩქარებული მშენებლობა. მისი განხორციელება დიდ პერსპექტივებს სახავს მლაშე და ბიერი ნიადაგების ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სივრცობრივი გაფართოებისათვის. ამ ნიადაგებზე იგი ძვირფასი მრავალწლიანი კულტურების განვითარებისათვის საჭირო ბაზის შექმნის და მნიშვნელოვნად გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. დღეისათვის ეს ფართობები ძირითადად ზამთრის საძოვრებად არის გამოყენებული.

სარწყავი სისტემის მშენებლობის შედეგად ამ საძოვრების ნაწილი მკვეთრად შეიცვლება, გაიზრდება ხვედრითი წონა ისეთი კულტურებისა, როგორიც ვენახი და ხეხილია. მაგალითად, შიდა კახეთის ზონაში ვენახის ფართობის ზრდა შესაძლებელი იქნება 21,4 ათას ჰექტარამდე, ბალებისა—5,7 ათას ჰექტარამდე. გარე კახეთში ვენახები დაიკავებს 24,8 ათას ჰექტარს, ბალები კი 10,4 ათას ჰექტარს. ამრიგად, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის განხორციელების შედეგად ვენახების ფართობები შიდა და გარე კახეთის ზონაში 18,9 ათასი ჰექტარიდან 46,2 ათას ჰექტარამდე, ანუ 27,3 ათასი ჰექტარით გაიზრდება, ბაღების ფართობები 2.970 ჰექტარიდან — 16.100 ჰექტარამდე.

მაჭიმაღლურად უნდა გამოვიყენოთ დასამუშავებლად ფარგისი სხვა დამატებითი მიწის სავარგულები. ეს შეეხება ნასვენი მიწების, ტყისა და ბუჩქნარებით დაკავებული ფართობების ათვისებას. ეს ფართობები ძირითადად მთის რაიონებშია განლაგებული. მას უჭირავს სახნავების დახლოებით 40 პროცენტი, აგრეთვე მთის მდელოებისა და საძოვრების 90 პროცენტი. ამჟამად ამ ზონის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავალში ძალზე მცირეა, მაგრამ მისი რეზერვები იმდენად დიდია, რომ გარკვეული კაპიტალური დაბანდებებით იგი შეიძლება 5-6-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდოს.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით მოიპოვება ქანობზე გადადგილებული მიწის ფართობები. ეს მიწები ამჟამად ძირითადად დაბალნაყოფიერად არის გამოყენებული, თუმცა თავისი ბუნებრივი ნაყოფიერებით ეს ფართობები ძირითადად ეარგისია მთელი რიგი კულტურებისათვის. კოლოსალური რეზერვები, რომელთაც მთიანი ზონა შეიცავს, გამოუყენებელია იმის გამო, რომ მეურნეობებში მუშაობის პირობები ძნელია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესები ერთობ ხუსტად, ან სრულიად არ არის მექანიზებული. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში, პირველად კავშირში, შექმნილია სამთო ტრაქტორები, რომლებმაც 20 გრადუსამდე დახრილობის ქანობზე უნდა იმუშაონ. ასევე შექმნილია მთის მდელოებისა და საძოვრების გასაუკეთესებელად მანქანათა სისტემა, შემუშავებულია ქვიანი ნიადაგების დასამუშავებელი მექანიზმების კონსტრუქციები. ეს საშუალებას მოგვცემს უახლოეს წლებში ავითვისოთ მანქანათა ათობით ახალი სისტემები, დავამუშაოთ ეს მიწები ძირითადად ტრესადის მოწყობის გზით და ამით გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა.

ჩვენ აქამდე შეეგვიძია რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სივრცობრივი გაფართოების ზოგიერთ შესაძლებლობებს. იგი, როგორც დავინახეთ, არც თუ ისე მცირეა.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური აღმავლობისათვის მეტად მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართო ინტენსიფიკაციის პროგრამის განხორციელება. ეს კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ განვახორციელებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სრულ მექანიზაციას და ელექტრიფიკაციას, მოვაწყობთ მიწების სრულ მელიორაციას და ფართო პროგრამით გავატარებთ ქიმიზაციის კურსს.

უაღრესად დიდი ეფექტიანობის მიღწევის მთავარი პირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ბერკეტების სრულად გამოყენება. კერძოდ, კომპლექსური მექანიზაციის, მიწების მელიორაციისა და ქიმიზაციის ფართოდ დანერგვა. მარტო მინერალური და ორგანული სასუქების სრული დოზით, რაციონალური გამოყენებით შეიძლება რესპუბლიკაში პურეულის წარმოება გავზარდოთ საშუალოდ ჰექტარზე 5-8 ცენტნერით, სიმინდისა — 17-41 ცენტნერით, კარტოფილისა — 60-80 ცენტნერით, ბოსტნეულისა — 100-120 ცენტნერით, ხილისა — 25-30 ცენტნერით, ჟურნლისა — 15-20 ცენტნერით და ა. შ.

ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ყაზრის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე როცა ჩამოაყალიბა პარტიის აგრარული პოლიტიკის მთავარი მიმართულებები სოფლად, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მოსავლიანობის გადიდების აუცილებლობას. „ბუღაზდილად თუ ვიტყვით, — აღნიშნა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევმა, — ბევრ მეურნეობაში, გვ ვიტყოდეთ, რაიონებშიც კი, ჯერ ისევ მცირე მოსავალი მოგვყავს. თვითეული ჰექტარის მოსავლიანობის გადიდება კი ნიშნავს მარცვლეულის უხვ მთლიან მოსავალს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ზრდას და, მაგასადაგე, — ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას".

საჭიროა სისტემატურად გზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა. ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშებით მარტო ამ გზით შეიძლება დაბატებით მიღებულ იქნას 500-800 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს კი შეადგენს იმდენს, რამდენსაც ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მთლიანად აწარმოებდა 1962 წლამდე. მეცნიერული გაანგარიშებით დადგენილია, და საჭიროა ვიცოდეთ ის, რომ მინერალური სასუქების წარმოებაზე დახარჯული ყოველი კაც-საათი (ნედლეულისა და ენერგიის დანახარჯების გათვალისწინებით) სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის შედეგად უნარუნველყოფს საშუალოდ 20 კაც-საათის ეკონომიას, ხოლო სარწყავი მიწათმოქმედებიდან შეგვიძლია მივიღოთ 2-3-ჯერ მეტი შემოსავალი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანას, ხოლო ეს უკანასკნელი დღის წესრიგში აყენებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის გაღრმავების აუცილებლობას და შესაბამისად წარმოების დაგვიანებულ სტიროსა და ხელმძღვანელობის მეთოდების მკვეთრად გაუმჯობესებას. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები პირობითად სპეციალიზებული არიან, შექმნილია მრძეული, მეხილეობის, მებოსტნეობის, მევენახეობის მეურნეობები და ა. შ. მაგრამ მათი წარმოების დაგეგმვაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. ამ მეურნეობებში ფაქტიურად სპეციალიზებულ დარგებთან ერთად წარმოდგენილია 10-ზე მეტი დასახელების მემცენარეობის დარგები. გარდა ამისა, მეცხოველეობის თითქმის ყველა სახის ფერმები. ცხადია ასეთ მეურნეობებში ძნელია ტექნიკის და მუშახელის გამოყენება. წარმოების ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ამის გამო მცირეა წარმოების შედეგებიც.

უახლოეს წლებში გთვალისწინებულია შეიქმნას მსხვილფაფა რქიანი პირუტყვის, მეცხოველეობის და მეფრინველეობის ავტომატიზებული კომპლექსები, სადაც პროდუქციის წარმოება გადაყვანილ იქნება სამრეწველო ინდუსტრიულ საწარმოებზე.

რესპუბლიკაში ამ მიზნით მეცხრე ხუთწლედში შენდება 9 სახელმწიფო საწარმო, 18 საკოლმეურნეოთაშორისო, 8 საკოლმეურნეო მეცხოველეობის კომპლექსი. მეცხოველეობის სახელმწიფო კომპლექსები 1975 წლისათვის აწარმოებენ 10.000 ტონამდე ხორცსა და 14 ათას ტონამდე რძეს. ასეთი დიდი რაოდენობით არის გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სარეწველო კომპლექსების შენებლობა. აღიბეჭდა ჟურნალი, რომ უახლოეს წლებში მარტო ამ გზით მივიღოთ ერთი-ორად მეტი ხორცი, 4-ჯერ მეტი რძე, სამრეწველო ფაბრიკების ბაზაზე კი ჟელატინის წარმოება 850-900 მილიონ ცალზე მეტი, ფრინველის ხორცის წარმოება თითქმის ერთიანად გადიდდება.

